



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 70

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. გარდაბანი
30.09.2024

70-06-4-202409301624



გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტისა და ამ პროექტის ფარგლებში შერჩეული შესაბამისი ფართის მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ტ“ პუნქტის, მე-3, მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 27 სექტემბრის №18-182427175 წერილის შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1

1. მოწონებულ იქნეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტი დანართი №1-ის შესაბამისად.
2. მოწონებულ იქნეს გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში კულტურული მრავალფეროვნების ცენტრის პროექტის ფარგლებში შესაძენად შერჩეული ფართი, ს/კ 81.12.20.569.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. N6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე